



სარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 -2028 წლების
პრიორიტეტების დოკუმენტი

09.12. 2024 წელი

შესავალ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში ასახულია ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ, მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 2023-2028 წლებისათვის და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში. რომელთა განხორციელებაც გათვალისწინებულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით.

პრიორიტეტების დოკუმენტი მომზადებულია „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 08 ივნისის №385 ბრძანების მოთხოვნათა გათვალისწინებით. მუნიციპალიტეტის მიერ დასახული პრიორიტეტების, ასევე არსებული სიტუაციის ანალიზის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა და განისაზღვრა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

ინფრასტრუქტურის განვითარება (02 00)

დასუფთავება და გარემოს დაცვა (03 00)

განათლება (04 00)

კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი და ტურიზმი (05 00)

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (06 00)

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება (01 00)

მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი სრულად იზიარებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 2015 წლის 25 სექტემბერს მიღებული A/RES/70/1 რეზოლუციის - “ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“ სულისკვეთებას. დოკუმენტში დასახული საშუალოვადიანი პრიორიტეტების შესრულება ემსახურება „მდგრადი განვითარების მიზნების ხარაგაულის მუნიციპალური დოკუმენტი 2030“-ით დასახული მიზნების მიღწევას და განსაზღვრული ამოცანების განხორციელებას, რომელიც დამტკიცებულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 08/01 № გ-69.69240084 განკარგულებით.

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ



ხარაგაულის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, კერძოდ იმერეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მუნიციპალიტეტს დასავლეთით ესაზღვრება ზესტაფონისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით ბორჯომის, აღმოსავლეთით ხაშურის, ჩრდილოეთით კი ჭიათურისა და საჩხერის მუნიციპალიტეტები.

მუნიციპალიტეტში 20 ადმინისტრაციული ერთეულია. მათ შორის არის 1 დაბა და დანარჩენი 19 ადმინისტრაციული ერთეული მოიცავს 78 სოფელს, რომელთაგან 11-ს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი, კერძოდ, ეს სოფლებია: გოლათუბანი, გოლისი, გუდათუბანი, ნუნისი, პატარა სახვლარი, ფონა, წიფა, ბჟინევი, ზვარე, ჩრდილი, გედსამანია. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია დაბა ხარაგაული.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ფართობის მიხედვით იმერეთის მუნიციპალიტეტებს შორის პირველი ადგილი უჭირავს და შეადგენს 913,9 კვმ-ს, რაც ქვეყნის საერთო ტერიტორიის (69 700 კმ²) 1,3 %-ია, ხოლო იმერეთის რეგიონის ტერიტორიის 14 % . მთლიანი ტერიტორიის 180 კვ.კმ უჭირავს დაბლობს, ხოლო 733, 9 კვ.კმ. – მთიან ადგილებს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში შიდა სასოფლო საავტომობილო გზების საერთო სიგრძე შეადგენს 512 კილომეტრს. მუნიციპალიტეტის 78 სოფლიდან 72 სოფელში მოწყობილია ცემენტო-ბეტონის გზები. რეაბილიტორებული გზების მთლიანი სიგრძე ამჟამად გზების საერთო სიგრძის 67%-ია და ყოველწლიურად მუნიციპალიტეტი სხვადასხვა ფონდიდან ახდენს საშუალოდ 35-38 კმ გზის რეაბილიტირებას.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი		
მუნიციპალიტეტის ცენტრი	დაბა ხარაგაული	
თემის რაოდენობა	20	
სოფლის რაოდენობა	78	
ფართობი	914 კმ ²	
პროცენტული წილი ქვეყნის ფართობთან	69 700 კმ ²	1.3%
პროცენტული წილი რეგიონის ფართობთან	6 516 კმ ²	14%
გზების სიგრძე	565	
მოსახლეობის რაოდენობა	19 473	
პროცენტული წილი ქვეყნის მოსახლეობაში	3 713 804	0.5%
პროცენტული წილი რეგიონის მოსახლეობაში	533 906	3.4%
მ.შ. დაბაში	1 965	9.9%
მ.შ სოფელში	17 508	90.1%
მ.შ. ქალი	9 846	50.4%
მ.შ. კაცი	9627	49.6%
მ.შ. 0-4 წლამდე ასაკის	1059	
მ.შ. სკოლის ასაკის	2973	
მ.შ. ასაკით პენსიონერი	5776	
მ.შ. პენსიის სხვა მიმღები		
მ.შ. სოციალურად დაუცველი	1 077	
მოსახლეობის სიმჭიდროვე	19,9	
ბიუჯეტის მოცულობა	30 935 296	

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 17,9 ათას ადამიანს, რაც ქვეყნის მოსახლეობის 0,5 % და რეგიონის მოსახლეობის 4 %-ია.. მოსახლეობის 49,6 % - მამაკაცია (9 627 კაცი) და შესაბამისად 50,4% - ქალი (9 846 ქალი). ამასთან, ადგილობრივი მოსახლეობის 9,9 % (1 965 ადამიანი) ცხოვრობს დაბაში, ხოლო დანარჩენი 90,1% სოფლებში(17 508 ადამიანი). მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 0-4 წლამდე ასაკის 1 059 ბავშვი, 5-დან 19 წლამდე 1 072 მოზარდი (მათ შორის ვაჟი -578 , გოგონა - 494), პენსიონერთა რაოდენობა არის 5 776. მოსახლეობის სიმჭიდროვე 19,9 კაცი კმ²-ზე. სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახთა რაოდენობა არის 918, საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობა კი 1 077. მუნიციპალიტეტის თერთმეტ მაღალმთიან სოფელში ცხოვრობს 1788 ადამიანი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიმდინარე 2024 წლის ბიუჯეტის მოცულობა ამ ეტაპზე განსაზღვრულია 31 319,3 ათ.ლარის ოდენობით. აქედან 56,2% - 17 586,1 ათასი ლარი ფინანსდება მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებით, ხოლო 43,9 % - 13 580,0 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებით.

საკუთარ შემოსავლებში აღსანიშნავია დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელზეც ყველაზე დიდი წილი, 59,1% - 9 358,6 ათასი ლარი მოდის. არასაკუთარი შემოსავლები ძირითადად შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი, სპეციალური და კაპიტალური ტრანსფერისგან, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა დელეგირებული უფლებამოსილების და ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ხდება ექვსი ძირითადი პრიორიტეტის დაფინანსება.

სხვა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკა ძირითადად წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, გადამამუშავებელი მრეწველობის, მომსახურების და ვაჭრობის სფეროებით. ამ დარგებიდან ნაკლებადაა განვითარებული არასასოფლო-სამეურნეო ბიზნესი და გადამამუშავებელი მრეწველობა. ეკონომიკის წამყვანი დარგი სოფლის მეურნეობაა, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ტურიზმს უკავია.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ტურიზმის განვითარების კუთხით გარკვეული პოტენციალი გააჩნია. პირველ რიგში აღსანიშნავია ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, რომელშიც 7 მუნიციპალიტეტია გაერთიანებული და მათ შორის ყველაზე დიდი ტერიტორია ხარაგაულს უჭირავს. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტს ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს შიდა და საერთაშორისო ტურისტების მოზიდვის თვალსაზრისით, მარკეტინგული ინსტრუმენტების ნაკლებობისა და გაუმართავი ტურისტული ინფრასტრუქტურის გამო, ხარაგაულის მიმდინარე ეტაპზე არ განიხილება აქტიურ ტურისტულ ცენტრად.

სოფლის მეურნეობის დარგი წარმოდგენილია 21 მცირე საწარმოთი (დასაქმებულია 95) და 180 საოჯახო ფერმერთ, მათ შორის 97 მეფუტკრით.

მუნიციპალიტეტში ნაკლებად არის განვითარებული მრეწველობა, რომელიც დღეისათვის შემოიფარგლება მხოლოდ ბუნებრივი რესურსების მოპოვებითა და რეალიზაციით. თუმცა მუნიციპალიტეტს გააჩნია კარგი პოტენციალი ჰიდრო, ქარის და არატრადიციული ენერჯეტიკის განვითარების მხრივ. ასევე შესაძლებელია ჩვეულებრივი და სამკურნალო დანიშნულების ხილ-კენკროვანი ნაყოფის გადამამუშავება, ღვინის, სპირტის და კონიაკის წარმოების განახლება, ბუნებრივი და მინერალური წყლების ჩამოსხმა, ასევე, სამკურნალო ბალნეოლოგიური წყლების უფრო რაციონალურად გამოყენება.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს:

25 საჯარო, ერთი კერძო სკოლა და 9 საჯარო სკოლებთან ადაპტირებული სკოლა. მათში საერთო ჯამში 2046 მოსწავლე სწავლობს და 534 მასწავლებელია დასაქმებული.

21 საბავშვო ბაღი და 2 სასკოლო მზაობის ჯგუფი, სადაც აღსაზრდელთა საერთო რაოდენობა შეადგენს 470-ს.

ხარაგაულის კულტურის და ხელოვნების ცენტრი, რომელიც ემსახურება მუნიციპალიტეტში კულტურის განვითარებას, მის შემადგენლობაში აერთიანებს: საბიბლიოთეკო გაერთიანებას; ისტორიული მუზეუმს; სახალხო თეატრს; თოჯინების თეატრს; საბავშვო, სახალხო ქორეოგრაფიულ ანსამბლს „უბისი“, ფოლკლორული ჯგუფ „უბისი“-ს, ვაჟთა ვოკალურ ანსამბლს, ფოლკლორულ ანსამბლ „ოდილა“-ს.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სპორტული, სამუსიკო, სალოტბარო სკოლები.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიზანია ჩამოყალიბდეს როგორც მიმზიდველი, საინტერესო, ცხოვრებისა და დასვენებისათვის ხელსაყრელი პატარა მუნიციპალიტეტი, შესაბამისი ტრადიციებითა და თანამედროვე ინფრასტრუქტურით, განვითარებული ტურიზმით, აგროსექტორითა და მრეწველობის სხვადასხვა დარგებით, ეკონომიკური სტაბილურობით, განათლების, კულტურის, სპორტის, სამედიცინო მომსახურებისა და სოციალური უზრუნველყოფის ხელმისაწვდომობით.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორცაა საგზაო ინფრასტრუქტურა, გარე განათების ქსელების, წყალმომარაგების სისტემის, დასასვენებელი ინფრასტრუქტურის და სხვათა მოწყობა, რათა მაქსიმალურად ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე წარმატებულ მუნიციპალიტეტებს შორის.

პრიორიტეტების დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად პროგრამების დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები და ხელი შეეწყობა გენდერული თანასწორობის დამყარებას. რომელიც საბოლოოდ ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას და აერთიანებს ადგილობრივ დონეზე სიღარიბის დაძლევისთვის კონკრეტულ ქმედებებს.

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2025-2028 წლებისთვის

2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებთან შედარებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა 2025-2028 წლებში მნიშვნელოვნად არ იცვლება. და ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები მოცემულია ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული პროგნოზის ფარგლებში.

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, კულტურისა და სპორტის სფეროს განვითარება.

2025-2028 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას, სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

(ათას ლარებში)

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
შემოსავლები	24 724,5	28 240,3	19 687,3	20 415,0	21 415,6	22 513,2
გადასახადები	10 203,8	13 758,6	17 208,9	18 111,6	19 112,2	20 209,8
გრანტები	13 848,8	12 440,0	298,4	298,4	298,4	298,4
სხვა შემოსავლები	671,8	2 041,7	2 180,0	2 005,0	2 005,0	2 005,0
ხარჯები	14 595,1	18 135,5	18 391,2	18 504,9	19 258,7	20 111,1
შრომის ანაზღაურება	2 867,6	3 119,1	3 892,5	3 892,5	3 892,5	3 892,5
საქონელი და მომსახურება	3 088,1	3 642,9	2 282,2	2 083,0	2 297,0	2 410,0
პროცენტი	18,6	23,0	23,0	23,0	0,0	0,0
სუბსიდიები	6 726,9	7 903,2	9 234,4	9 525,1	9 972,9	10 502,0
გრანტები	42,0	45,6	46,7	46,7	46,7	46,7
სოციალური უზრუნველყოფა	1 240,4	2 094,3	2 149,0	2 136,0	2 156,0	2 191,0
სხვა ხარჯები	611,6	1 307,4	763,4	798,6	893,6	1 068,9
საოპერაციო საღდო	10 129,3	10 104,8	1 296,1	1 910,1	2 156,9	2 402,1
არაფინანსური აქტივების ცვლილება	8 875,8	12 931,8	1 759,4	2 195,0	2 380,0	2 620,9
ზრდა	8 890,7	13 131,8	1 839,4	2 275,0	2 460,0	2 700,9
კლება	15,0	200,0	80,0	80,0	80,0	80,0
მთლიანი საღდო	1 253,6	-2 827,0	-463,3	-284,9	-223,1	-218,8
ფინანსური აქტივების ცვლილება	1 202,6	-2 879,0	-515,3	-336,9	-223,1	-218,8
კლება	-1 202,6	2 879,0	515,3	336,9	223,1	218,8
ვალდებულებების ცვლილება	-50,9	-52,0	-52,0	-52,0	0,0	0,0
კლება	50,9	52,0	52,0	52,0	0,0	0,0
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
----------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
შემოსულობები	24 739,4	28 440,3	19 767,3	20 495,0	21 495,6	22 593,2
შემოსავლები	24 724,5	28 240,3	19 687,3	20 415,0	21 415,6	22 513,2
არაფინანსური აქტივების კლება	15,0	200,0	80,0	80,0	80,0	80,0
გადასახდელები	23 536,8	31 319,3	20 282,6	20 831,9	21 618,7	22 712,0
ხარჯები	14 595,1	18 135,5	18 391,2	18 504,9	19 258,7	20 111,1

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
არაფინანსური აქტივების ზრდა	8 890,7	13 131,8	1 839,4	2 275,0	2 460,0	2 700,9
ვალდებულებების კლება	50,9	52,0	52,0	52,0	0,0	0,0
ნაშთის ცვლილება	1 202,6	-2 879,0	-515,3	-336,9	-223,1	-218,8

ბიუჯეტის შემოსულობები (ათას ლარებში)

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
შემოსულობები	24 739,4	28 440,3	19 767,3	20 495,0	21 495,6	22 593,2
გადასახადები	10 203,8	13 758,6	17 208,9	18 111,6	19 112,2	20 209,8
ქონების გადასახადი	1 598,5	4 400,0	6 200,0	6 200,0	6 200,0	6 200,0
დამატებული ღირებულების გადასახადი	8 605,3	9 358,6	11 008,9	11 911,6	12 912,2	14 009,8
გრანტები	13 848,8	12 440,0	298,4	298,4	298,4	298,4
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	240,0	198,4	298,4	298,4	298,4	298,4
სხვა შემოსავლები	671,8	2 041,7	2 180,0	2 005,0	2 005,0	2 005,0
შემოსავლები საკუთრებიდან	153,6	170,0	275,0	210,0	210,0	210,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	164,0	95,0	100,0	95,0	95,0	95,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	310,8	1 276,7	1 805,0	1 700,0	1 700,0	1 700,0
არაფინანსური აქტივების კლება	15,0	200,0	80,0	80,0	80,0	80,0

ბიუჯეტის გადასახდელები

(ათას ლარებში)

პროგრ. კოდი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
	სულ გადასახდელები	23 536,8	31 319,3	20 282,6	20 831,9	21 618,7	22 712,0
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულება	4 390,2	5 078,901	6 176,1	6 300,9	6 256,9	6 298,9
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	4 320,7	4 900,420	5 876,1	5 989,9	6 009,9	6 040,9
01 01 01	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1 041,1	1 120,900	1 323,8	1 354,3	1 351,3	1 375,3
01 01 02	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია	3 131,1	3 764,520	4 522,3	4 605,6	4 628,6	4 635,6
01 01 04	კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	15,4	15,000	30,0	30,0	30,0	30,0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	69,5	178,481	300,0	311,0	247,0	258,0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	0,0	59,1	120,0	130,0	140,0	150,0
01 02 02	წინაპერიოდში წარმოქმნილი და ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	0,0	41,4	100,0	100,0	100,0	100,0
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	69,5	75,0	75,0	75,0	0,0	0,0
01 02 04	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	0,0	3,0	5,0	6,0	7,0	8,0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	9 382,4	14 069,558	2 312,4	2 548,0	3 010,0	3 530,3
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	7 642,4	10 838,449	1 250,0	1 298,0	1 510,0	1 620,0
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	7 201,3	9 585,732	700,0	772,0	850,0	900,0
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	241,9	324,044	250,0	100,0	200,0	200,0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება		241,0	40,0	50,0	60,0	70,0
02 01 04	ხიდების, ზოგიერთის მშენებლობა, რეაბილიტაცია	121,5	529,0	100,0	180,0	200,0	250,0
02 01 05	მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	77,7	158,6	160,0	196,0	200,0	200,0
02 02	წყლის სისტემის განვითარება	78,2	1 242,7	230,0	280,0	350,0	470,0
02 02 01	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	28,9	183,228	200,0	100,0	150,0	250,0
02 02 02	კანალიზაციის სისტემების განვითარება (სანიაღვრე არხების მოწყობა)	49,4	1 059,500	30,0	180,0	200,0	220,0
02 03	გარე განათება	268,4	410,900	402,0	470,0	490,0	490,0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	268,4	410,900	402,0	470,0	490,0	490,0
02 04	მრავალმიანი სახლების რეაბილიტაცია	100,3	321,081	100,0	100,0	160,0	300,3
02 05	კუთილმოწყობა	212,2	185,000	130,0	200,0	200,0	200,0
02 05 02	სასაფლაოების მოვლა, შემოღობვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
02 05 03	კუთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია	212,2	185,0	130,0	200,0	200,0	200,0
02 09	სოფლის მხარდამჭერი პროგრამა	1 080,8	1 071,4	200,4	200,0	300,0	450,0
02 10	სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 557,2	2 097,900	2 221,9	2 188,0	2 178,0	2 188,0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1 348,9	1 847,000	1 941,4	1 900,0	1 900,0	1 900,0

03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	196,3	241,900	265,5	270,0	260,0	270,0
03 03	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	12,0	9,0	15,0	18,0	18,0	18,0
04 00	განათლება	3 749,8	3 973,500	3 524,9	3 754,4	4 101,7	4 488,1
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2 243,3	2 441,000	3 120,0	3 337,3	3 665,3	4 025,7
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	0,0	87,000	5,0	5,0	5,0	5,0
04 05	ზოგადი განათლების ხელშეწყობა (ინტერნატი)	115,0	129,100	141,9	154,1	169,2	185,4
04 06	სკოლისგარეშე განათლების პროგრამა (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი)	208,6	228,000	258,0	258,0	262,2	272,0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2 352,7	2 848,677	2 998,1	2 963,7	3 065,7	3 159,8
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	707,8	1 177,735	1 070,0	919,8	1 001,2	1 046,6
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	10,0	20,0	20,0	25,0	25,0	25,0
05 01 02	სპორტის ხელშეწყობა	576,0	678,500	800,0	694,8	776,2	871,6
05 01 03	სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა	121,9	479,2	250,0	200,0	200,0	150,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1 494,6	1 482,592	1 713,1	1 828,9	1 849,5	1 898,2
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1 474,2	1 392,4	1 690,1	1 804,9	1 824,5	1 873,2
05 02 01 01	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	183,2	221,600	253,8	244,0	244,7	244,7
05 02 01 02	კულტურისა და ხელოვნების და შიდა ტურიზმის ხელშეწყობა	980,9	1 145,700	1 408,6	1 533,2	1 552,1	1 600,8
05 02 01 03	ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამა	22,8	25,1	27,7	27,7	27,7	27,7
05 02 02	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	306,2	57,5	23,0	24,0	25,0	25,0
05 03	მიქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა	94,4	98,350	105,0	105,0	105,0	105,0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	40,0	70,0	80,0	80,0	80,0	80,0
05 05	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	15,9	20,0	30,0	30,0	30,0	30,0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2 104,4	3 250,770	3 049,2	3 076,9	3 006,4	3 046,9
06 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	229,8	260,400	288,9	288,9	288,9	288,9
06 02	ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა	1,6	5,0	0,0	0,0	0,0	0,0
06 03	სოციალური დაცვა	1 873,0	2 985,4	2 760,3	2 788,0	2 717,5	2 758,0
06 03 01	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება	478,8	673,9	500,0	530,0	550,0	580,0
06 03 03	შშმ პირთა დახმარება	63,9	85,0	90,0	90,0	90,0	95,0
06 03 04	ერთჯერადი ფინანსური დახმარება	286,4	660,9	1 000,0	1 000,0	1 000,0	1 000,0
06 03 05	ლეიკემით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება	31,8	43,0	43,0	43,0	43,0	43,0
06 03 06	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	27,3	49,0	45,0	45,0	45,0	45,0
06 03 07	მარტოხელა მშობლების დახმარება	10,5	22,0	24,0	29,0	29,0	29,0
06 03 08	მარჩენალდაკარგულ და რეინტეგრირებულ პირთა დახმარება	38,0	57,0	60,0	55,0	55,0	55,0
06 03 09	ყოველთვიური დახმარება	54,9	89,0	80,0	80,0	80,0	80,0
06 03 10	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ოშმი დაღუპულთა ოჯახების დახმარება	8,5	9,0	9,0	9,0	9,0	9,0
06 03 11	ხანდაზმულთა დახმარება	0,0	4,0	4,0	4,0	4,0	4,0
06 03 12	სადღესასწაულო დღეების დახმარება	118,0	163,6	100,0	50,0	50,0	50,0
06 03 13	სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება	12,7	20,0	20,0	20,0	20,0	20,0
06 03 14	უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების სათბობი მასალით დახმარება	26,8	50,0	20,0	20,0	20,0	20,0
06 03 15	ახალშობილთა ოჯახების დახმარება	21,6	25,0	24,0	25,0	25,0	25,0
06 03 16	გარდაცვლილი დევილის ან ვეტერანის დაკრძალვა	0,8	1,0	1,0	1,0	1,0	1,0
06 03 17	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და/ან მიძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება, უსახლკართო და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფა	306,1	610,3	180,0	190,2	195,2	200,2
06 03 18	უფასო სასაბუღალტრო	236,8	265,0	281,3	291,8	296,3	296,8
06 03 19	სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, ინვენტარი უზრუნველყოფა და საგრანტო პროექტების ხელშეწყობა	87,7	57,7	80,0	100,0	100,0	100,0
06 03 20	გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამა	14,7	30,0	30,0	30,0	30,0	30,0
06 03 21	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარება	14,6	20,0	25,0	25,0	25,0	25,0
06 03 22	არასრულწლოვანთა დახმარება	33,5	50,0	44,0	50,0	50,0	50,0
06 03 23	პერსონალური ასისტენტის მომსახურება	0,0	0,0	100,0	100,0	100,0	100,0

2.2 გასული 2023 წლის წლიური და მიმდინარე 2024 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულება

2023 წლის წლის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2022 წლის 21 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს N 30 დადგენილებით. შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა 12733,0 ათასი ლარით, გადასახდელების მოცულობა 14 180,0 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 1 409,0 ათასი ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში ბიუჯეტში ექვსჯერ იქნა შეტანილი ცვლილება და შემოსულობები დაზუსტდა 11 202,9 ათასი ლარის, გადასახდელები 11 165,1 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 1409,0 ათასი ლარის მოცულობით.

2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლების წლიური გეგმა 23 935,9 ათასი ლარით განისაზღვრა, ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 24 739,4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 103,4% -ს შეადგენს.


გადასახადების 2023 წლის საპროგნოზო მოცულობა 10 218,4 ათასი ლარით, განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებულია 10 203,8 ათასი ლარი რაც წლიური გეგმის 99,9 % -ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი გრანტების 2023 წლის გეგმა 12 373,5 ათასი ლარით განისაზღვრა. ფინანსთა, ინფრასტრუქტურისა და განათლების სამინისტროებიდან დაფინანსების მიღების პროცესი იწარმოებოდა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ან/და გაწეული მომსახურების მიხედვით, ფაქტიურად მიღებულმა დაფინანსებამ კი 13 848,8 ათას ლარი შეადგინა, წლიური გეგმის 111,9 %, აღნიშნული მთლიანად განპირობებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან წლის ბოლო რიცხვებში გამოყოფილი ფინანსური დახმარებით, რომლის მიზანი იყო 2024 წლის ბიუჯეტში წლის დასაწყისში გაჩენილიყო მინიმალური რესურსები.

სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 294,0 ათასი ლარით. მობილიზებულ იქნა მხოლოდ 671,8 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 51,9 %-ით.

არაფინანსური აქტივების კლებიდან დაგეგმილი 50,0 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია მხოლოდ 15,0 ათასი ლარი მიწის გაყიდვიდან, რადგან ინვენტარიზაციის პროცესის მიმდინარეობის გამო პრივატიზაციის პროცესი შეფერხებული იყო.

დიაგრ. N 1




ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 25 345, 1 ათასი ლარით, ფაქტიურად დაფინანსდა 23 536,8 ათასი ლარით, 92,6 %-ით. პრიორიტეტების მიხედვით ყველაზე მეტი ხვედრითი წილი მოდის ინფრასტრუქტურის განვითარების დაფინანსებაზე.

დიაგრ. N 2



ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის მთავარ პრიორიტეტს ინფრასტრუქტურის განვითარება - პროგრამული კოდი 02 00 წარმოადგენს, 2023 წელს აღნიშნულ პრიორიტეტზე გათვალისწინებული იყო 10 708,3 ათასი ლარის დახარჯვა, ფაქტიურად დახარჯულია 9 382,4 ათასი ლარი, გეგმა შესრულებულია 87,6-ით.



დასუფთავება და ნარჩენების გატანა - პროგრამული კოდი 03 01 მუნიციპალიტეტმა 2023 წელს დაგეგმილი 1 618,7 ათ. ლარიდან დახარჯა 1 557,2 ათასი ლარი და დაფინანსებულა 96,2 %-ით;

განათლებაზე პროგრამული კოდი - 04 00 2023 წელს მუნიციპალიტეტმა გათვალისწინებული 3 826,3 ათასი ლარიდან დახარჯა 3 749,8 ათასი ლარი, 98,0 %.

კულტურა, რელიგია, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებზე - პროგრამული კოდი 05 00

დაგეგმილი 2400.0 ათასი ლარიდან დახარჯულია 2 352.7 ათასი ლარი, 98%;

„მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფაზე - პროგრამული კოდი 06 00 “ მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით 2023 წელში მოქმედებდა 22 ქვეპროგრამა. მათ შორის ორი ქვეპროგრამა მოიცავს ჯანმრთელობის დაცვას, ხოლო 20 - სოციალურ უზრუნველყოფას. აღნიშნული პრიორიტეტები ყოველწლიურად იზრდება და 2023 წელს დაგეგმილი 2 232.3 ათასი ლარიდან 2104.4 ათასი ლარი მოხმარდა.

2024 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2023 წლის 21 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს N 29 დადგენილებით. შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა 13 433,7 ათასი ლარით, გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 14 928,5 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 1 494,8 ათასი ლარით. პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტში ხუთჯერ იქნა შეტანილი ცვლილება, რის შედეგადაც შემოსულობები დაზუსტდა 14 608,4 ათასი ლარის, გადასახდელები 15 992,6 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 1 384,2 ათასი ლარის მოცულობით.

2024 წლის ბიუჯეტის შემოსავლების წლიური გეგმა 28 042,1 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო პერიოდის გეგმა 23 922,2 ათასი ლარით. ფაქტიურად ცხრა თვეში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მობილიზებულია 24 488,0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 87,3 % -ს და საანგარიშო პერიოდის გეგმის 102,4% -ს შეადგენს.

გადასახადების 2024 წლის საპროგნოზო მოცულობა განსაზღვრულია 13 758,6 ათასი ლარით, ხოლო პერიოდის გეგმა 10 658,8 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებულია 12 610,4 ათასი ლარი წლიური გეგმის 91,7 % და საანგარიშო პერიოდის გეგმის 118,3 %-ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტების 2024 წლის გეგმა განისაზღვრა 12 286,8 ათასი ლარით, ხოლო საანგარიშო პერიოდის გეგმა 11 733,4 ათასი ლარით განისაზღვრა. მუნიციპალიტეტს ფაქტობრივად მიღებული აქვს 9 604,3 ათასი ლარის მოცულობის გრანტი, წლიური გეგმის 78,2%, ხოლო პერიოდის გეგმის 81,6 შესრულდა, ვინაიდან ფინანსთა, ინფრასტრუქტურისა და განათლების სამინისტროებიდან დაფინანსების მიღების პროცესი ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ან/და გაწეული მომსახურების მიხედვით ხდება.

სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1796,0 ათასი, ხოლო პერიოდის 1340,0 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 2242,9 ათასი ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 124,8 %, პერიოდის გეგმის 167,4 % ია. სხვა შემოსავლის ყველა სახეში უკვე უზრუნველყოფილია როგორც ცხრა თვის ასევე წლიური გეგმები.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების 2024 წლის წლიური გეგმა შეადგენს 30 921,1 ათას ლარს, პერიოდის კი 26 803,5 ათას ლარს. საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 20 223,9 ათასი ლარი, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 65,4 % და საანგარიშო პერიოდის გეგმის 75,5%.

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ასიგნების წლიური გეგმა განისაზღვრა 13 970,1 ათასი ლარის, პერიოდის გეგმა კი 13 709,5 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ წლიური გეგმის 61,5%, პერიოდის გეგმის 62,7 % - 8 591,3 ათასი ლარი შეადგინა.

დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის წლიური ასიგნების გეგმა განისაზღვრა 2 017,9 ათასი ლარის ოდენობით, ცხრა თვის 1 573,9 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 1430,8 ათასი ლარი რაც წლიური გეგმის 70,9 % და პერიოდის გეგმის 90,7%-ია.

განათლების პრიორიტეტის დაფინანსების წლიური ასიგნება განისაზღვრა 3 973,5 ათასი ლარით, პერიოდის -2 996,7 ათასი ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 2 756,2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 69,4%, პერიოდის გეგმის 92,0 %-ია.

კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის პრიორიტეტის ასიგნების წლიური მოცულობა განისაზღვრა 2 874,9 ათასი ლარით, პერიოდის გეგმა 2 336,7 ათასი ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 1877,0 ათასი ლარი, წლიური გეგმის 65,3%, პერიოდის გეგმის 80,3%.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის წლიური გეგმიური დაფინანსება 2991,6 ათასი ლარით, პერიოდის გეგმა -2315,5 ათასი ლარით განისაზღვრა. საკასო შესრულებამ შეადგინა 2082,3 ათასი ლარი, წლიური გეგმის -69,6%, პერიოდის გეგმის-89,9%.

თავი III მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალო ვადიან პერიოდში

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- ❖ ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ❖ დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- ❖ განათლება;
- ❖ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი; ტურიზმი
- ❖ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- ❖ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება;

„პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის #385 ბრძანების შესაბამისად 2025–2028 წლებში ბიუჯეტის განსაზღვრულ პრიორიტეტებზე და ბიუჯეტიდან დაფინანსებული ძირითად პროგრამებზე ასიგნებების ზღვრული მოცულობები განისაზღვროს შემდეგი ოდენობებით:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ასიგნებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის ზღვრული ოდენობა(საკუთარი შემოსულობების ფარგლებში)

თანხა ათას ლარებში						
პროგრ. კოდი	პრიორიტეტის დასახელება	მომუშავეთა რიცხოვნება	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულება	211	6 176,1	6 300,9	6 256,9	6 298,9
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	11	2 312,4	2 548,0	3 010,0	3 530,3
03 01	დასუფთავება და გარემოს დაცვა	209	2 221,9	2 188,0	2 178,0	2 188,0
04 00	განათლება	350	3 524,9	3 754,4	4 101,7	4 488,1
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	239	2 998,1	2 963,7	3 065,7	3 159,8
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	42	3 049,2	3 076,9	3 006,4	3 046,9
	სულ ბიუჯეტი	1 062	20 282,6	20 831,9	21 618,7	22 712,0

პრიორიტეტის მთლიანი დაფინანსება (არსებული პოლიტიკის დასაფინანსებლად)

თანხა ათას ლარებში

კოდი პროგრ.	პრიორიტეტის დასახელება	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულება	6 176,1	6 300,9	6 256,9	6 298,9
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	2 312,4	2 548,0	3 010,0	3 530,3
03 01	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2 221,9	2 188,0	2 178,0	2 188,0
04 00	განათლება	3 524,9	3 754,4	4 101,7	4 488,1
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2 998,1	2 963,7	3 065,7	3 159,8
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3 049,2	3 076,9	3 006,4	3 046,9
	სულ ბიუჯეტი	20 282,6	20 831,9	21 618,7	22 712,0

პრიორიტეტის მთლიანი დაფინანსება (არსებული პოლიტიკის და ახალი ინიციატივების დასაფინანსებლად ჯამურად)

თანხა ათას ლარებში

პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
01 01	მმართველობა და საერთო დანიშნულება	6 176,1	6 300,9	6 256,9	6 298,9
	მ. შ. ახალი ინიციატივა	5,0	5,0	5,0	5,0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	2 312,4	2 548,0	3 010,0	3 530,3
	მ. შ. ახალი ინიციატივა	100,0	120,0	130,0	140,0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2 221,9	2 188,0	2 178,0	2 188,0
	მ. შ. ახალი ინიციატივა	100,0	120,0	120,0	130,0
04 00	განათლება	3 524,9	3 754,4	4 101,7	4 488,1
	მ. შ. ახალი ინიციატივა	25,0	30,0	30,0	35,0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2 998,1	2 963,7	3 065,7	3 159,8
	მ. შ. ახალი ინიციატივა	20,0	30,0	40,0	45,0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3 049,2	3 076,9	3 006,4	3 046,9
	მ. შ. ახალი ინიციატივა	100,0	100,0	100,0	100,0
	სულ ჯამი	20 282,6	20 831,9	21 618,7	22 712,0
	მ. შ. ახალი ინიციატივა	350,0	405,0	430,0	455,0

ინფრასტრუქტურის განვითარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. 2025 წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსება მთლიანი გადასახდელების 10,3 %-ია. იგი მზარდი დინამიკით გამოირჩევა და ყოველწლიურად იზრდება. ზრდა ძირითადად განპირობებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერის ზრდით ასევე ზოგიერთ პროექტზე მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობის აუცილებლობით.

ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ტურიზმის, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარებას.

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზნები, რომელთა მიღწევასაც ემსახურება პრიორიტეტის ქვეშ მოქცეული პროგრამები:

მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.

მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება.

მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარიული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა.

მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა;

მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი: მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული, კომფორტული და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნა; ეფექტური და მოთხოვნაზე ორიენტირებული მუნიციპალური სერვისების განვითარება პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება; წყლის სისტემის განვითარება; გარეგანათება; მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია; კეთილმოწყობა; სოფლის მხარდამჭერი პროგრამა.

(ათას ლარებში)

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028წლის პროგნოზი
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1 250,0	1 298,0	1 510,0	1 620,0
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	700,0	772,0	850,0	900,0
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	250,0	100,0	200,0	200,0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	40,0	50,0	60,0	70,0
02 01 04	ხიდების, ბოგიერების მშენებლობა, რეაბილიტაცია	100,0	180,0	200,0	250,0
02 01 05	მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	160,0	196,0	200,0	200,0
02 02	წყლის სისტემის განვითარება	230,0	280,0	350,0	470,0
02 02 01	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	200,0	100,0	150,0	250,0
02 02 02	კანალიზაციის სისტემების განვითარება (სანიაღვრე არხების მოწყობა)	30,0	180,0	200,0	220,0
02 03	გარე განათება	402,0	470,0	490,0	490,0

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028წლის პროგნოზი
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	402,0	470,0	490,0	490,0
02 04	მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია	100,0	100,0	160,0	300,3
02 05	კეთილმოწყობა	130,0	200,0	200,0	200,0
02 05 03	კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია	130,0	200,0	200,0	200,0
02 09	სოფლის მხარდამჭერი პროგრამა	200,4	200,0	300,0	450,0
02 00	სულ პრიორიტეტის დაფინანსება	2 312,4	2 548,0	3 010,0	3 530,3

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2025 წელი(ათას ლარში)	2026 წელი (ათას ლარში)	2027 წელი(ათას ლარში)	2028 წელი (ათას ლარში)
	02 01		1 250,0	1 298,0	1 510,0	1 620,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური					
პროგრამის მიზანი აღწერა	<p>საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, ახალი გზების, ხიდებისა და ხიდ-ბოგირების, ნაპირსამაგრიების მშენებლობას. პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები უმეტესწილად ხმარდება გზების მიმდინარე შეკეთებას, საპროექტო და საექსპერტო-მონიტორინგის ხარჯების ანაზღაურებას. მიმდინარე პერიოდისათვის მუნიციპალური გზების 68% სრულად რეაბილიტირებულია, დარჩენილ ნაწილზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები. სარეაბილიტაციო გზების შერჩევა ხორციელდება მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე მხედველობაში მიიღება სტიქიური მოვლენების შედეგების აღმოფხვრა და სხვა წინასწარ გათვალისწინებული ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ოთხი ქვეპროგრამა: გზების კაპიტალურ შეკეთება, გზების მიმდინარე შეკეთება, რომელიც თავის თავში მოიცავს გზების მოვლა-შენახვას, ხიდების, ბოგირების მშენებლობა და რეაბილიტაცია, მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა. გზების კაპიტალური შეკეთების ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის დაზიანებული და ამორტიზირებული გზების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. სამუშაოების მოცულობა დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერზე. ბოლო წლების განმავლობაში, საშუალოდ წლის განმავლობაში, კაპიტალური რეაბილიტაცია უტარდება 35 000 გრ/მ გზას (მათ შორის ახალი გზებია 33000 გრ/მ), გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მონარტივიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუღებელი აუცილებლობის გათვალისწინებით, ამასთან დაგვემარტვის პროცესში გათვალისწინებულია გენდერული ასპექტები და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროცესში ყურადღება ექცევა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს, რათა მათთვის თანაბარებლობისაწვდომი გარემოს შეიქმნას.</p> <p>პროგრამის მიზანია: საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის გარემოს შექმნა.</p>					
პროგრამის განხორციელების ვადები	მიმდინარე					
გეროს მდგრადი განვითარების მიზანი რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	<p>მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.</p> <p>მიზანი 9-მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა:</p> <p>მიზანი 11-მდგრადი ქალაქები და დასახლებები</p>					
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>მუნიციპალიტეტში მოწესრიგებულია საგზაო ინფრასტრუქტურა და შექმნილია პირობები ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის, შშმ პირთა და საზგვო ეტლით მოსარგებლეთა საჭიროებების გათვალისწინებით ეტაპობრივად ხდება საგზაო ინფრასტრუქტურის ადაპტირება</p>					

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი							
ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი 2024 წელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2025 წელს	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2026 წელს	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2027 წელს	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2028 წელს	შესაძლო რისკები
გზების სიგრძე, რომლებზეც ჩატარდა გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები	35	38	5%	38	38	38	სახელმწიფო პირობების დარღვევა
გზების სიგრძე, რომლებზეც ჩატარდა გზების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები	33	30	5%	30	30	30	სახელმწიფო პირობების დარღვევა
ახალი და რეაბილიტირებული ხიდების, ბოგირების და მილხიდების რაოდენობა	7	8	5%	8	8	8	სახელმწიფო პირობების დარღვევა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების კაპიტალური შეკეთება	2025 წელი(ათას ლარში)	2026 წელი (ათას ლარში)	2027 წელი(ათას ლარში)	2028 წელი (ათას ლარში)
	02 01 01		700,0	772,0	850,0	900,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური					
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. ასფალტობეტონის ახალი საფარის მოწყობა სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციით, ფხვით სავალი ნაწილების მოწყობა-რეაბილიტაცია, ბორდიურების მოწყობა. სულ მოეწყობა 35 კმ საერთო სიგრძის ასფალტისაფრიალი/ბეტონიანი გზა, სოფლებში, სადაც გათვალისწინებულია საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სკოლების და საბავშვო ბაღების მისასვლელ მონაკვეთებზე, ფხვით მოსიარულეთათვის მოეწყობა ტროტუარები. . გარდა ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებისა 2025 წელს გაგრძელდება რეგიონული განვითარების ფონდით, მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ფონდითა და სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციოდ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების განხორციელება. ქვეპროგრამის მიზანია: საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ტრანსპორტის, ქვეითად მოსიარულეთა, შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის პირობების შექმნა.					
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მიმდინარე					
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის. მიზანი 9-მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11-მდგრადი ქალაქები და დასახლებები					
ქვე პროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოწესრიგებული და ადაპტირებულია საგზაო ინფრასტრუქტურა. უზრუნველყოფილია ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა კომფორტული გადაადგილება და შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი ფიზიკური გარემო შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის					

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი 2024 წელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2025 წელს	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2026 წელს	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2027 წელს	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2028 წელს	ცდდომილების ალბათობა %	შესაძლო რისკები
გზების სიგრძე, რომლებზეც წლის განმავლობაში ჩატარდა გზების კაპიტალური რეაბილიტაცია	35 კმ	38	38	38	38	5%	სახელმწიფო პირობების დარღვევა
რეაბილიტირებული გზებით მოსარგებლეთა რაოდენობა	15 000 მათ შორის ქალი55% , კაცი45%	16000 მათ შორის ქალი55% , კაცი45%	16500 მათ შორის ქალი55% , კაცი45%	16500 მათ შორის ქალი55% , კაცი45%	17 000 მათ შორის ქალი55% , კაცი45%	5%	სახელმწიფო პირობების დარღვევა
გზების საერთო სიგრძე, სადაც ორგანიზებულია საგზაო მოძრაობა	42%	43%	44	44	44	5%	სახელმწიფო პირობების დარღვევა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების მიმდინარე შეკეთება	2025 წელი(ათას ლარში)	2026 წელი (ათას ლარში)	2027 წელი(ათას ლარში)	2028 წელი (ათას ლარში)
	02 01 02		250,0	100,0	200,0	200,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური					
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	გზების მიმდინარე შეკეთების ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული გზების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას (მათ შორის, ე.წ. ორმოული შეკეთება), ასევე, არასაფალტირებული გზების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას. წლის განმავლობაში სამუდამოდ ხორციელდება 98 000 კვ/მ გზის მიმდინარე შეკეთება; მიზანი: მუნიციპალიტეტში არსებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება და მოვლა-პატრონობა;					
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მიმდინარე					
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის. მიზანი 9-მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11-მდგრადი ქალაქები და დასახლებები					
ქვე პროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში არსებული გზების მოვლა-პატრონობა და გახანგრძლივებულია გზების ექსპლუატაციის ვადა					

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი 2024 წელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2025 წელს	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2026 წელს	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2027 წელს	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2028 წელს	ცდდომილების ალბათობა %	შესაძლო რისკები

მოხრეწილი გზების საერთო სიგრძე	33	30	30	30	30	5%	სახელმწიფო პირობების დარღვევა
ორმოულად შეკეთებული გზების ფართობი	2000 კვმ.	2000 კვმ.	2000 კვმ.	2000 კვმ.	2000 კვმ.	5%	სახელმწიფო პირობების დარღვევა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	2025 წელი(ათას ლარში)	2026 წელი (ათას ლარში)	2027 წელი(ათას ლარში)	2028 წელი (ათას ლარში)
	02 01 03		40,0	50,0	60,0	70,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური					
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	ქვეითად მოსიარულეთა და საგზაო ტრანსპორტის მოწესრიგებული მოძრაობის და უსაფრთხო გადაადგილების მიზნით დამონტაჟებულია თანამედროვე ტიპის ვიდეო კამერები. გზებზე და მოედნებზე, სხვადასხვა ლოკაციებზე საგზაო ნიშნების მოწყობა, ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნების დახაზვა, სიჩქარის შემზღულდავი ხელოვნური ბარიერის და საგზაო ნიშნების მოწყობა. გზების რეაბილიტაციის პროცესში განხორციელდება პროექტით განსაზღვრული საგზაო ნიშნების მოწყობა და ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნების დახაზვა (ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელების მონიშვნა, გზების გამყოფი ხაზების და გვერდულების დახაზვა და სხვა მონიშვნები). სკოლების და საბავშვო ბაღების მისასვლელ მონაკვეთებში მოსწავლეთა და სკოლამდელი ასაკის ბავშვების, მშობლების და მასწავლებლების ფეხით უსაფრთხო გადაადგილების მიზნით მოეწყობა სიჩქარის შემზღულდავი ბარიერები, შესაბამისი საგზაო ნიშნებით და დახაზვებზე ფეხითმოსიარულეთა გადასასვლელები.დაბის ადა სოფლის ცენტრების ტერიტორიაზე საგზაო ნიშნებით და ჰორიზონტალური მონიშვნებით.. სკოლების და ბაღების შესასვლელებთან უზრუნველყოფილი იქნას იქნას სიჩქარის შემზღულდავი ბარიერების მოწყობა. ქვეპროგრამის მიზანი: საგზაო მოძრაობის ორგანიზება ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილებისთვის.					
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მიმდინარე					
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 3--ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის. მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები					
ქვე პროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ორგანიზებულია საგზაო მოძრაობა და ხელშეწყობილია ფეხით მოსიარულეთა და ავტოტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილება.					

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
